ხელშეკრულება საქონლის
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N21
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი **16 მარტი 2017 წელი**

ერთის მხრივ, **სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი** წარმოდგენილი სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის ნინო ჭელიძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი ორგანიზაცია") და მეორეს მხრივ **შპს „ადა"** - გენერალური დირექტორის გიორგი ღუღუნიშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") წოდებული მხარეებად, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად SMP170000614, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია ტელევიზორის შესყიდვა (CPV 323400000) დანართის შესაბამისად.

№	საქონლის დასახელება	ზომ. ერთ.	რაოდ.	ერთ. ფასი დღგს ჩათვლით	თანხა
1	**ტელევიზორი საკიდით Pansonic TV 40" (101cm)/ TX40DR400 FHD 1920x1080 400Hz USB 2.0 2xHDMI RCA SCART CI VESA DVB-T/T2/C**	ცალი	1	795	795

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება
2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 795 9შვიდასოთხმოცდათხუთმეტი) ლარს;
2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება "მიმწოდებელს".

მუხლი 3. საქონლის მიწოდების ადგილი და ეტაპობრივი ვადები
3.1. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ N7;
3.2. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა

მუხლი 4. საქონლის მიღება-ჩაბარება
4.1. საქონლის მიღების შემდეგ მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის საფუძველზეც "მიმწოდებელი" "შემსყიდველს" წარუდგენს ინვოისს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.
4.2. შემსყიდველის მიერ მიღებული საქონლის აღიარება (ცნობა) მოხდება შესასყიდი ობიექტის მიღების შემდეგ ორივე მხარისაგან ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტისა და დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

მუხლი 5. ანგარიშსწორების პირობები:
5.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, "მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი ინვოისი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
5.3. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება 5.2. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
5.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო ყურაშვილი.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. "შემსყიდველი ორგანიზაცია" უფლებამოსილია:

6.1.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება; აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

6.1.2. აწარმოოს საქონლის ხარისხის ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.2. "შემსყიდველი ორგანიზაცია" ვალდებულია:

6.2.1. მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად;

6.3. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

6.3.1. მიიღოს მიწოდებული საქონლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება.

6.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

6.4.1. მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

6.4.2 ტელევიზორზე გარანტიის ვადა განისაზღვროს 1 (ერთი) წლით;

6.4.2. შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

6.4.3. საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით, ხოლო, ,,შემსყიდველის" მოთხოვნის საფუძველზე აუცილებელი პერსონალით.

მუხლი 7. დაუძლეველი ძალა

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხერშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

8.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის თანხმობით; ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით;

8.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

8.5. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

9.1. მხარეთა შეთანხმება;

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

9.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 10. დავის გადაწყვეტა

10.1. მხარეები სადავო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

10.2. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მხარეთა შორის დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საქონლის ღირებულების 0,2 (ნოლი მთელი, ორი მეათედი) პროცენტის ოდენობით,

11.3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელეკრულებო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

მუხლი 12. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების კონტროლი

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი ნინო ყურაშვილი.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30აპრილის ჩათვლით.

მუხლი 14. განსაკუთრებული პირობები

14.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) გვერდზე, 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს

14.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება "მიმწოდებელს", ხოლო ერთი ინახება "შემსყიდველ ორგანიზაციაში".

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი ორგანიზაცია"	"მიმწოდებელი"
სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი	შპს „ადა"
ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ.N7	ქ. თბილისი,მიცკევიჩის ქ N4
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი BAGAGE22
ს/კ 205319350	ა/ა№GE82BG0000000626529900
აღმასრულებელი დირექტორის	ს/კ №405027830
დროებით მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი
_____	_____
/ნინო ჯელიძე/	/ გიორგი ღულუნიშვილი /